№ 450. კვირა, 8 თებერვალი 1[illegible]—1898 კვირა, 8 თებერვალი, № 450.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე, საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზია.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს
კერძოპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4, მან
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ. მეოთხეზე 5 კაპ.
Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Фрейлинская № 13.
Телефонъ № 363.

ქართული თეატრი

კვირას, 8 თებერვალს
ქალბ. ე. ს. მესხის მონაწილეობით
ქართული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება
ბენეფისი
რეჟისორის კ. ს. მესხისა
= პირველად ახალი პიესა =

ა. კაზაიანი

დრამა 5 მოქმედ. გადმოკ. სუმბათოვის დრამიდამ ბენეფიციანტის-მიერ.

მომქმედნი პირნი:

თ. დიმ. ჯარჯიძე, განათლ. მემამულე	ბ. გამყრელიძე
ბაბალე, ამისი მეუღლე	**ე. ს. მესხისა**
სანდრო ვარო } ამათი შვილები	ქ. გარელისა ქ. კარგარელი
ა. კაზაიანი, ძალიან მდიდარი, დამაარსებელი რომელიმე სავაჭრო სახლისა	**ბ. კ. ს. მესხი**
მაქთაღა, ამისი ცოლი	ქ. ჩერქეზიშვილი
თათელა, ამისი შორეული ნათესავი	ქ. რჩეულოვისა
პეტრე უმიშვილი, პედაგოგი, ჯარჯიძიანთ მეგობარი	ბ. გედევანოვი
ნარქიზ ქარაფშუტოვი, ახალგაზდა კაცი, მაქთაღას ნათესავი	ბ. ვ. აბაშიძე
იაშა ნამდვილოვი, უხასიათო პირი	ბ. შათირიშვილი
მარქრიტა, ამისი ცოლი	ქ. გამყრელიძისა
პოლიციის მოხელე	ბ. კარბელი
ჯარჯიძის მსახური	ბ. თამაზიშვილი
კაზაიანის მსახური	ბ. გვარამაძე.

მოქმედება სწარმოებს ჩვენს დროში, თბილისში
ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზე. რეჟისორი კ. მესხი
მოკლე ხანში ბენეფისი საფაროვ-აბაშიძისა

XXXX

გამოვიდა და ისყიდება
უბის წიგნი
1898 წლისათვის
= მშვენიერის ყდით და ყარანდაშით =
ფასი 20 კაპ.

უბის წიგნში მოქცეულია მართლ-მადიდებელთა კალენდარი, უქმეები და დღესასწაულნი დაბეჭდილია წითელის ფერადებით და სურათები მეფე ერეკლე II-სა და თავ. ილია ჭავჭავაძის მოკლე ბიოგრაფიულის ცნობებით. ვინც „ცნობის ფურცლის“ რედაქციიდან გამოიწერს, ფოსტის ფული არ დაეხარჯება. ფულის მაგიერ შეიძლება მარკები გამოგზავნონ.

გამოვიდა და ისყიდება
წ. კ. გ. საზოგადოების და ქართველთა ამხანაგობის მაღაზიებში
გლეხი-კაცის ისტორია
ერკმან-შატრიანისა
თარგმანი ფრანგულით **ივ. მაჭავარიანისა**
ნაწილი პირველი: **საერო კრება.**
ნაწილი მეორე: **სამშობლოს განსაცდელი.**
ფასი თითო ნაწილისა **სამი აბაზი**
კარგს ქაღალდზე ხუთმეტი შაური

იქვე ისყიდება ი. მაჭავარიანის თარგმანები:
ბრჭყალები 3 მოქმ. დრამა პოლ ერვიესი. ფასი 30 კაპ.
ივდითი ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა. ფასი 30 კაპ.
ვინც ფოსტის-ფასებით გამოიწერს არა ნაკლებ ხუთი წიგნისა, მანეთზე 30 კაპ. დაეთმობა. (30—18)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. გ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. გ. თოფურია.** საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. გერრატი.**
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**
თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი **ს. გ. თოფურია.**
Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ.

მთავრობისაგან ნება დართული
პანსიონი და სასწავლებელი
მასწავლებელი ქალის
ნ. დიდებულიძისა
ტფილისი, მიხეილის ქუჩა, ხეჩატუროვის სახ. № 146.
ღებულობენ ბავშვებს მოსამზადებლად საშუალო სასწავლებლებში.
ბავშვები მიიღება სასწავლებლად და საცხოვრებლადაც.
მიიღება აგრეთვე საქალებო გიმნ. მოწაფეებიც სადგომად და საცხოვრებლად.
პანსიონში ასწავლიან მუსიკას (პიანოზე და ვიოლონი)
მოლაპარაკება პირობებზე დილის 10 საათ. 3 საათამდე.

ПАНСІОНЪ И УЧИЛИЩЕ
Учительницы
Н. ДИДЕБУЛИДЗЕ
Тифлисъ, Михайловок. ул. № 146.
Принимаются дѣти женскаго пола приходящ. и полнымъ пансіонерк. Квартиры съ полнымъ содержачніемъ для учениц гимназіи. Обученіе музыкѣ
(150 85)

ფოტოგრაფიი
ალექსანდრე როინაშვილისა
ყიდულობს
ძველ ნივთებს და საგნებს—რკინისას, თუჯისას, ბრინჯაოსის, ვერცხლისას, ოქროსას, თიხისას, ქვისას, ფაიფურისას, რქისას და ძვლისას.
ხელ-საქმეს ძველებურის ხელობისას და ნაქსოვ-ნაქარგს და სხვ.
სამკაულს სხვა და სხვას ძველ დროინდელს ძველს ფულებს და იარაღებს
მსურველთ მიჰმართონ ყოველ-დღე ერევნის მოედანზე საკუთარს ფოტოგრაფიაში
იქვე შეიძლება
სურათების გადაღება
იაფად, სწრაფად და ხელოვნურად.
Фотографія А. С. Роинова
тамъ-же
Коллекція древностей
Тифлисъ, Эриванская пл. д. Харазовой
(100 27

გამოვიდა და ისყიდება
ძმათა თავართქილაძეთა ახლად გამოცემული
დრამატიული თხზულება
აკვ. ცაგარლისა
მეორე ტომი, ფასი 50 კაპ.
კედლის კალენდარი
1898 წლის
ფასი 30 კ. (25—25)

დეპეშები

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“
რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან
5 თებერვალი

პარიჟი. ზოლას საქმე. შერერ-კესტნერმა სთქვა, რომ მე არ შემეძლო ტეისონიერისთვის მეთქვა რამ ესტერგაზის შესახებ, რადგანაც, როდესაც ტეისონიერი ვნახე, ესტერგაზის სახელი არ ვიცოდი. ლაბორიმ უსაყვედურა ტეისონიერს იმის გამო, რომ მან „Matin“-ში წერილი დაჰბეჭდა ტრარიეს წინააღმდეგ. ტეისონიემ სთქვა, რომ არც ტრარიესა და არც შერერ-კესტნერს არ მოუთხოვნიათ, რომ ჩემი მოხსენება შემეცვალაო. ტრარიემ წინააღმდეგობა განაცხადა ტეისონიერის წერილის გამო, რომელშიაც ტყუილის თქმის ბრალსა სდებს. ტრარიემ სთქვა, რომ მთავარ-შტაბმა ტეისონიერთან ერთად ზოგიერთი უწესოება ჩაიდინა პიკარის მოქმედებათა გასაბათილებლადაო. საქმის განხილვა ცოტა ხანს შეაჩერეს. საქმის განხილვის დაწყებისათანავე ხელ-ახლად გამოიხმეს პელიე. ლაბორიმ სთქვა, რომ ჩვენ ნაფიც ექსპერტების ჩვენების ჩამორთმევის წინააღმდეგი-კი არ ვიყავით, არამედ თვით ექსპერტებმა განაცხადეს, ამ საქმის შესახებ არაფერს ვიტყვითო. ლაბორიმ უსაყვედურა პელიეს იმ სიტყვების გამო, რომელიც მან მოსამართლეთ უთხრა, რომ ვითომ მალე ომი იქნებაო. „ჩვენ,—დაუმატა ლაბორიმ,—არა გვჯერა, რომ ომი იყოს და თუ იქნება, ისეთი ჯარის-კაცები გვყავს, რომ არ გვეშინიანო (ტაშის ცემაა). მაგრამ რათა ჩვენ დარწმუნებულნი ვიყვნეთ, რომ აფიცრებს შეუძლიანთ ღირსეულად გაუძღვნენ ჯარს!.. (თავმჯდომარე აწყვეტინებს). პელიემ განაცხადა, რომ „Matin“-ში დაბეჭდილი ფაქსიმილე უფრო ძალიანა ჰგავს ბორდეროსაო. მეიერმა სთქვა, რომ ნაფიცი ექსპერტები სრულიადაც არ არიან სხვებზედ უკეთესებიო. მაიერმა სთხოვა პელიეს ფოტოგრაფიით გადაღებული ბორდერო მაჩვენეთ და პირობას გაძლევთ, რომ სინიდისიერად განვიხილავ და გამოვიკვლევო. პელიემ მიუგო, რომ ეგ შეუძლებელია, იმიტომ რომ საქმე ხალხის დაუსწრებლად იქმნა გარჩეულიო. ლაბორიმ სთქვა: „ყველამ რომ მოვიწადინოთ, მალე მოვრიგდებოდით და ხელი-ხელს გადახვეული გავიდოდით აქედგან, ყველამ რომ ბორდერო ვნახოთ, საქმე თავის-თავად მოისპობა“ (ხმაურობაა). პელიემ განაცხადა, რომ არა მსურს ექსპერტების შესახებ ლაპარაკი, რადგანაც ამ საქმის მცოდნე არა ვარ; ვიტყვი მხოლოდ, რომ ექსპერტებმა დაარწმუნეს სამხედრო სასამართლო, ბორდერო ესტერგაზის არ დაუწერიაო. ექსპერტმა კასავრმა განაცხადა მაიერის შესახებ, რომ თუმცა დიდად პატივსა ვცემ ecole des chartes დირექტორს, მაინც ვალდებულადა ვრაცხ ჩემ თავს ვთქვა, რომ ხელთნაწერის გამოკვლევის საქმეში მაიერს იმდენი ესმის, რამდენიც ქუჩის ბიჭებსაო. ლაბორიმ უკმაყოფილება განაცხადა იმის გამო, რომ არ უნდათ სასამართლოს ბორდეროს დედანი წარუდგინონ და იკითხა, ერთ და იგივე ბორდერო გასინჯეს ექსპერტებმა 1894 წელს და 1897 წელს, თუ სხვა და-სხვაო. კაიერი ეუბნება, რომ ერთი და იგივეო. ჟენევის უნივერსიტეტის პროფესორმა მარიომ სთქვა, რომ ბორდერო ესტერგაზის დაწერილიაო. მარიოს უნდა ექსპერტიზა მოახდინოს შავს ფიცარზედ, მაგრამ თავმჯდომარე იმის ნებას არ აძლევს მარიოს. დასასრულ მარიომ სთქვა: „არ ვიცი, არის თუ არა ბორდეროს დედანი, მაგრამ „Matin“-ში დაწერილი პირი ბორდეროსი საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ ბორდერო ესტერგაზის მიერ არის დაწერილი

* * *

ახალი ამბავი

⁂ **მთავარ-მართებლის მხლებელნი.** კავკასიის მთავარ-მართებელს თან გაჰყვებიან პეტერბურგში შემდეგნი პირნი: მისი კანცელარიის დირექტორი ტ. ს. ი. ვ. მიცკევიჩი, შტაბის უფროსი გენ.-მ. შუტლევორტი, მისი ბრწყინვალების ადიუტანტი პოლკოვნ. სვეჩინი, ხსენებულის კანცელარიის საქმეთა მწარმოებელი კ. ი. სლოვინსკი, საგანგებო მინდობილებათა მოხელე თავ. მ. ა. კურაკინი; საოლქო შტაბის განყოფილებათა უფროსნი—პოლკოვნიკი საგენერალო შტაბისა ვ. ო. ტრაფიმოვი და ს. ს. ი. გ. აბრამოვი; საოლქო შტაბის კანცელარიის გამგე პოლკ. ა. ტ. არკანიკოვი და მთავარ-მართებლის კანცელარიის საკანცელარიო მოხელე ბ. ლიპინსკი.

⁂ **საქველ-მოქმედო საზოგადოებათა საყურადღებოდ.** ტფილისის

გუბერნატორის წინადადებით პოლიცმეისტერი სთხოვს ტფილისში არსებულ ყველა საქველ-მოქმედო საზოგადოებათ, რომელნიც შინაგან საქმეთა სამინისტროს ექვემდებარებიან, ხელი მოაწერონ იმაზე, რათა მათ მიერ შედგენილი ანგარიში შესახებ მათი მოქმედებისა, თანხისა, შემოსავალ-გასავლისა და სხ., როგორც ყოველ-თვიური, ისე წლიური, დღეის იქით უთუოდ გუბერნატორს წარუდგინოს ხოლმე თავისს დროზე პირდაპირ კანცელარიით.

⁂ **უძრავ ქონებათა დაფასება.** ამ დღეებში შეუდგნენ უძრავ ქონებათა დაფასებას სოლოლაკის განყოფილების მე-V რაიონში.

⁂ **ცვლილება გამიჯვნის გამგეობაში.** გამოქვეყნებულია კანონი: ერევნის გუბერნიაში არსებულ გამიჯვნის ოლქი გაუქმებულ იქმნეს, ხოლო პირდაპირი გამგეობა გუბერნიაში ჯერ კიდევ დაუმთავრებელ გასამიჯვნელ მუშაობისა და გამიჯვნის არხივისა, რომელიც ისევ ერევანში რჩება, მინდობილ ექნეს ტფილისის სამოსამართლო პალატის გამმიჯვნელ განყოფილებას. ტფილისის გუბერნიის პირველისა და მეორე ოლქის მაგივრად შედგენილ იქმნეს მთელის გუბერნიისათვის ერთი ტფილისის გამიჯვნის ოლქი; ქუთაისის გუბერნიაში არსებულის ორის ოლქის მაგივრად დაარსებულ იქმნეს სამი ოლქი: პირველი—ზუგდიდისა და სენაკის მაზრისაგან და სვანეთისაგან, მეორე—ქუთაისისა, ოზურგეთისა და ლეჩხუმის მაზრებისაგან, მესამე—რაჭისა და შორაპნის მაზრებისაგან. განჯის გუბერნიაში შედგენილ იქმნეს ორი ოლქი: პირველი— განჯის, ყაზახისა, არეშისა და ნუხის მაზრებისაგან, მეორე—ზენგეზურისა, შუშისა, ჯებრაილისა და ჯევანშირის მაზრებისაგან.

⁂ **სახაზინო პალატა ქუთაისში.** გაზ. «ჩერნ. ვესტ.» დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდამ, რომ ნაბრძანებია დაარსებულ იქმნეს ქუთაისში სახაზინო პალატა ქუთაისის გუბერნიისათვის, ართვინისა, ბათომისა და სოხუმის ოლქთათვის.

⁂ **ბავშვების მზრუნველობა.** სასტიკის მოპყრობისაგან ბავშვების დამცველ განყოფილებას პეტერბურგში ინსტრუქცია შეუმუშავებია იმ პირთათვის, რომელნიც ზედამხედველობას უწევენ პეტერბურგის სავაჭრო-სამრეწველო და სახელოსნო სახლებში მომუშავე და მოსწავლე ბავშვებს, ამ ინსტრუქციის თანახმად, ზედამხედველებს გამუდმებით თვალყური უნდა ეჭიროთ მათს რაიონში მყოფ სავაჭრო სამრეწველო და სახელოსნო სახლებზე, სადაც მცირე წლოვანები მუშაობენ. რა თქმა უნდა, სანატრელია, რომ ჩვენშიაც ეღირსოთ მცირე წლოვან მუშებს ასეთი ზედამხედველობა და მზრუნველობა.

⁂ **ადგილების უქონლობა საავადმყოფოში.** ტფილისის მიხეილის საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა დოქტ. პავლოვსკიმ აუწყა ქალაქის გამგეობას, რომ საავადმყოფოში ადგილების უქონლობის გამო ყვავილით ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილია და ამასთანავე სთხოვს გამგეობას, დადგენილ იქმნეს ყვავილით ავადმყოფთა მიღება ქალაქის ხარჯზე არსებულ საავადმყოფოში.

⁂ **ჯარიმა პასპორტის წიგნზედ.** ფინანსთა სამინისტრომ განმარტა, რომ პასპორტის წიგნზე, როგორც ფასიანს ისე უფასოზე დადგენილია 15 კაპ. გადახდევინება თითო ცალზე, ხოლო პასპორტის ბლანკების წახდენისათვის თითო კაპიკი ფურცელზე

⁂ **წიგნთ-საცავები ეკლესიებთან.** ს. პეტერბურგის სამრევლო მზრუნველთა თაოსნობით წელს პირველად შეუდგებიან ეკლესიებთან წიგნთ-საცავების გამართვას, რომლებიდანაც წიგნების გატანა უფასოდ შეეძლებათ.

⁂ **ტუბერკულიოზის სამკურნალო შრატის და კოხის ტუბერკულინის შემოტანა რუსეთში** ნება დართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მათ იწერენ სამმართველო და საზოგადოებრივ დაწესებულებათათვის და სამკურნალო საზოგადოებაც და აფთიაქებისათვის, იმ პირობით, რომ ეს პრეპარატები ეძლეოდეს მსურველთ მხოლოდ ექიმის რეცეპტით, მათი მომზადების დროის აღნიშვნით.

⁂ **ჩარჩების საწინააღმდეგო საწყობი.** სამხრეთ რუსეთის ზოგიერთ გზებზე, როგორც ისმის, გადაწყვეტილა დაარსდეს რამდენიმე სამეურნეო საწყობი, რომლებმაც, სულ თუ ვერ მოსპობენ, უნდა შეასუსტონ მაინც კერძო ჩარჩობა, რომელსაც ცუდი გავლენა აქვს როგორც ვაჭრობაზე, ისე სამეურნეო ნაწარმოების მყიდველებზე. ვისურვოთ, რომ ასეთი გადაწყვეტილება ჩვენს ქვეყანასაც მოსწვდეს.

⁂ **ბაჟების გადასინჯვა.** როგორც სატახტო გაზეთები სწერენ, ამ მოკლე ხანში მოხდება საზოგადო გასინჯვა რუსეთის რკინის გზებზე შაქრის გადასაზიდ ბაჟებისა; გადასინჯულ იქმნება აგრეთვე მარილის გადასაზიდი ბაჟიც.

⁂ **ნავთის წარმოების გაყიდვა.** „ძმ. ბუდაგოვთა“ ნავთის მწარმოებელ ფირმას, როგორც ისმის, ამ დღეებში ინგლისის კომპანიისათვის მიუყიდნია თვისი წარმოება 3 მილიონ მანეთად.

⁂ **ახალი ფარდული შეშლილთათვის** ტფილ. მიხეილის საავადმყოფოს შეშლილთა განყოფილებაში უკვე დაუმთავრებიათ ახალი ფარდულის შენება. ფარდული აგურით არის აშენებული.

⁂ **გამგეობის საყურადღებოდ.** ქალაქის განაპირას, რკინის გზის ლიანდაგის ქვემოდ, სადაც ავჭალის ურმები მოდის, არის ერთი ხევი, რომლის გარეშემო სცხოვრობს ორასამდის მოსახლე რკინის გზის მოსამსახურე. ეს ხევი ისეთ ნაირად არის გაბინძურებული, რომ კაცს აღარ გაევლება. ვისაც ან ძაღლი ან კატა მოკვდომია, სულ აქ მოუტანიათ და აქ დაუყრიათ. სხვა ნაგავსა და უპატიურებას ვინ იტყვის. ამ ხევს ქალაქის დარაჯები იშვიათად ხვდ[illegible]ით, როდემდის დარ[illegible]ცივად, მაგრამ რო[illegible]ყროლდება ეს ხევ[illegible]აქ მცხოვრებლე[illegible]იგო, რომ სანამ[illegible]ეს ამ ხევს, მიაქც[illegible], ვისიც ჯერ არ[illegible]ხევი გაზაფხულამდის ასე დარჩა, თქვენი მტერი, რომ ამ ხევზედ მცხოვრებლებს საქმე მოუვათ.

ალექსი მირზაშვილი

⁂ **აკაკის პასუხი.** «მე გახლავარ» კრიტიკოსს „ივერიაც“ გამოექომაგა და უნდა დაამტკიცოს, რომ პიესა „ხანის ვეზირი“ მაინცა და მაინც ჩემი დაწერილია და თუ არა-და, მითვისება მაინც-კი მინდოდა მისი და მხოლოდ ბოლოს გადავთქვი. ამისი მაგალითი მაშინაც იყო—ამბობს—როდესაც თ. სახოკიამ ნაკვესები გამოსცა და აკაკიმ-კი უარი ჰყოო.— ალბად ბატონი ვექილი დაჯერებული ამაზედ, თორემ როგორ იკადრებდა სხვა რაიმე განზრახვით მკითხველების შეცდომაში შეყვანას?! ეს უნებური მისი შეცდომა რომ გავასწოროთ, იმედია, არ იწყენენ.

მე გადმოვთარგმნე ახუნდოვის პიესა „ხანის ვეზირი“ და მივეცი გადასაწერად ქ-ნ ანტონოვსკის და მერე სტამბაშიაც გადავეცი შემდეგის შენიშვნით: „ეს პიესა ეკუთვნის ფეტ-ალი ახუნდოვს, თათრის მწერალს. ახუნდოვი ერთ დროს ჩვენი გ. ერისთავთან გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, ვარანცოვის დროს. მას ნაწერებში ისე ნათლად იხატება ჩვენი მეზობელ თათრების ცხოვრება, როგორც სარკეში“. მეტი არა ვიცირა. არც საცენზურო კომიტეტისათვის წარმიდგენია, არც დრამატიულ კომიტეტისათვის გადამიცია და არც გაზეთებში მის შესახებ რამ გამომიცხადებია. მხოლოდ ამ ბოლოს დროს ვიღამაც მითხრა: კასირი აპირებს სცენაზე მის დადგმასო და მე ვუპასუხე: რა მენაღვლება-მეთქი! იმავე დღეს ბ-ნმა გ. ჟურულმა მითხრა: „ხანის ვეზირსა“ ვსდგამთ და თუ ცუდათ ითამაშეს, ნებას აღარ მივსცემთო“. მე იმასაც ეს ვუთხარი: ჩემი არ არის, მხოლოდ ნათარგმნია და რას დავსდევ-მეთქი.—წარმოდგენის წინა დღეს შეცდომით გამოეცხადებიათ, რომ ვითომც იგი ჩემი ყოფილიყოს; მე, რასაკვირველია, ვიუცხოვე და რადგანაც განცხადება აღარ მოესწრებოდა, სიტყვიერად ყველას გადავეცი და სუფლიორმაც გამოაცხადა. ეს ყოველიფერი კარგად იცოდნენ „ივერიის“ მმართველებმაც, მაგრამ მაინც გამოილაშქრეს ჩემზე და მეც, რასაკვირველია, დავეკითხე მათ: რა მიზეზია, რომ საზოგადოთ ჩემს ნაწერებზე ხმას არ იღებთ ხოლმე და ეს პიესა-კი განზრახ მე მომაწერეთ და საგანგაშოთ გახადეთ მეთქი? „ივერიას“ სწყენია ეს კადნიერება ჩემგან და მაინც გაიძახის საბუთები ხელში მიჭირავსო. გაზეთებში იყო გამოცხადებულიო!. ვინ? ვინ? და „ივერიამ“ კარგად უნდა იცოდეს, რომ ხშირად გაზეთებში არა თუ ამისთანა უმანკო და უნებური შეცდომა, განზრახულიც ბევრი რამ იბეჭდება ხოლმე. მოვაგონებ ერთ-ორს. თვით „ივერიაში“ არ იყო გამოცხადებული, რომ თავართქილაძის სახლი დაუწვავთ და მისი მეუღლეც შიგ გამომწვარაო, და როდესაც გულ-გახეთქილმა ქმარმა მოგმართათ, ერთი კვირის შემდეგ დაიბეჭდა, რომ ტყუილი გამოდგაო? რამიშვილი არ იყო, რომ ძმის სატირლად სოფელ სურებში იწვევდა ნაცნობებს და „ივერიამ“-კი დაბა სურამი გამოაცხადა? თუ-კი ეს ცნობები არ გამოდგენ უცნაური და საგანგაშო, რაღა მარტო ის უნებური შეცდომა და ისიც კიდევ სხვისი, და არა ჩემი, გახდა საკიჟინოდ?.. სხვასაც შეცდომით წაჰპოტინებია „ივერია“!.. თქვენს ნათქვამს რომ ვინმემ სხვისიც დაამატოს ერთი-ორად და სულ თქვენ მოგაწეროსთ, რასაკვირველია, არ იკისრებთ! მეც ისე მოვიქეცი «ნაკვესების» შესახებ: ბევრი მათგანი ჩემი არ იყო, ზოგი გადაესხვაფერებიათ, ზოგი მისთანები იყვნენ, რომ შინაობაში ნათქვამი არაფერი გარეთ გასატანი იყო და მაშ არ უნდა მეთქვა სიმართლე?.. აქედან შეცდომით გამოუყვანია „ივერიას“ ის დასკვნა, რომ ვითომც მე ჩვეულებათა მქონდეს სხვისი ნაწერების მითვისება და ჩემი ნაწერების გადათქმა. რომ ეს ასე არ არის, ამას მივანდობ მკითხველებს და საზოგადოდ ჩემ ნაწერებს. უნდა მოგახსენოთ, რომ პირიქით მე არ მომწონან ისინი, რომელნიც დღეს ერთს ამბობენ და ხვალ სხვას.

დასასრულ კიდევ მოვახსენებ ყველას, რომ რაც უნდა სთქვან და სწერონ ჩემზე, მე პასუხს არ ვაძლევ. ასე გასინჯონ, რომ გინდ ცილის წამებაც იყოს, თუ-კი ის ზურგს უკან იქნება. მაგრამ როდესაც სახალხოთ ცილსა მწამებენ, მაშინ-კი არ შემიძლიან თავი არ ვიმართლო და ნუ გამიწყრებიან, მით უფრო, რომ ეს რაღაც დესპოტური, ბატონ-ყმური მოთხოვნილებაა და ბატონ-ყმობა-კი დიდი ხანია გადავარდნილია.

აკაკი

⁂ **მადლობის გამოცხადება.** ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ქვემორე აღნიშნულს პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და შეძლებისამებრ შემწეობა აღმოუჩინეს იურიევის უნივერსიტეტში მოსწავლე სტუდენტს გრიგოლ მახარაძეს, რომელიც ამ ჟამად მოკლებულია ყოველს (ღონის ძიებას) შეძლებას სწავლის გაგრძობისას. შემომწირველთა სია: 1-ლ №-მა ჯარის კაცმა 10 მ., ქ-ნმა სოფ. ჩხარტიშვილისამ 4 მ., მღვდ. ანტონ თოთიბაძემ 3 მ., ორ-ორი მანეთი: ქ.ქ. ანიკო ქარუმიძისამ, მარია ფატიასამ; ბ-ნ უშანგი გაბუჩიამ. თითო მანეთი: ქ-ნ ფედოს. კვაჭაძისამ, მღ. გრიგოლ გამდლიშვილმა, მღ. გიორ. ასათიანმა, არხი-დიაკ. კონსტანტ. კარგარეთელმა, დიაკ. კოსმა ცინცაძემ, ვასო ტაბატაძემ, ნესტ. ხაჭაპურაძემ და გიგო ერქომაიშვილმა. ათ-ათი შაური: დიაკ. კირილე პისკუნოვმა, ლევან გიორგაძემ, ტარიელ ჰეიშვილმა, ტარასი საჯაიამ და გრიგოლ ნიკოლაიშვილმა 25 კაპ. სულ 33 მ. და 25 კ., ეს ფულები უკვე გაეგზავნა დანიშნულებისამებრ.

ავთ. კ—შვილი

⁂ **ზუგდიდი. თოვლისა და უგზოობის მსხვერპლნი.** ამ რამდენიმე დღის წინად 4 დარაჯი ცაგერიდან სვანეთში მიდიოდა. ტიუბერის უღელ-ტეხილზე მათ უცებ თავზე დაეცათ თოვლის ზვავი და ოთხივე ერთად დამარხა. დარაჯებს კვალ და კვალ მოსდევდნენ 100—200 ნაბიჯის სიშორეზე თ. დადიშკელიანის კაცები და მათ ამოსთხარეს თოვლიდან ორი ცოცხალ მკვდარი დარაჯი, დანარჩენი ორი კი სამუდამოდ დაიღუპა. მგონი ათი ათასი მცხოვრები კი უნდა ღირდეს იმდენათ, რომ მათთვის მდ. ინგურის ხეობაზედ გაყვანილ იქმნეს სამუდამო და კარგი გზა. ეს კითხვა არა ერთხელ აღძრულა, მაგრამ ყოველთვის გადაუწყვეტელი დარჩენილა. ამასობაში კი სვანეთი უგზოობის წყალობით მოწყვეტილია დანარჩენ ქვეყანასთან და ატარებს კარ-ჩაკეტილ ცხოვრებას, გარემოცული ათასი დახავსებული ცრუ მორწმუნეობით («ნ. ობ.»).

⁂ **ფოთი. ინგლისის გემები.** ფოთის ნავთ-სადგურში ამ ჟამად ათი ინგლისური გემი სდგას და შავ ქვას ელოდება. სადგურში მხოლოდ სამ გემს შეუძლია დგომა, და მათაც მხოლოდ სამი დღე და ღამით. ხოლო თუ გემმა ამ ვადას გადააცილა, მაშინ დღე და ღამეში 200 მან. ჯარიმას იხდის, ამიტომ ცხადია, რომ არც ერთ ზემოხსენებულ გემთაგანს არ ასცდება ჯარიმა.

⁂ **სოხუმი.** მიწების ფასი სოხუმში და მის არემარეში თან და თან იზრდება. გუშინ მოხსენებული გვქონდა, ტატარინოვის აგარაკი ბ. რუკავიშნიკოვმა შეიძინაო. ახლა გვესმის, რომ ცომაიას აგარაკი, პატარა ბაღით, 18 ათას მანეთად უყიდნიათ და კიდევ ერთი აგარაკი (2 დესეტინა), სოხუმის ჰაიბიან პასტუხოვს შეუძენია 10 ათას მანეთად.

⁂ **დ. სიჩა. ყვავილ-ბატონების მძვინვარება.** ეს ორ თვეზე მეტია, რაც აქ გაჩნდა ყვავილ-ბატონები და თანდათან ვრცელდება. ადგილობრივი ექიმი დიდს შრომასა სწევს, რომ ხალხში აცრა გავრცელდეს. ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ახალგაზდა ყმაწვილი კაცი იმსხვერპლა ამ სენმა.

⁂ **ს. ვანი. (გურია) გზების უქონლობა.** სოფ. ვანს შეუძლია დიდი სარგებლობა გაუწიოს მთელ გურიას, რადგანაც აქ იშოვება აუარებელი ქვა. მაგრამ, სამწუხაროდ, ხეირიანი გზების უქონლობის გამო ამ ქვით ვერავის უსარგებლნია ჯეროვანად. აქ ისეთი ოღრო-ჩოღრო გზებია, რომელზედაც სიარული ან ურმის ტარება ზაფხულშიაც ფრიად საძნელოა, არამც თუ ზამთარში, ამის გამო ვეღარც ქვის მთლელებს მოუხერხებიათ ფულის შოვნა და ვეღარც მეურმეებს, რადგანაც გათლილი ქვის გაზიდვა შეუძლებელი გახდარა.

— **ეკკლესიის შენობის მდგომარეობა.** ეს ხუთი წელიწადია აქ ეკკლესია შენდება და ჯერ კიდევ ვერ დაუმთავრებიათ; კედლები უკვე აუყვანილია, მაგრამ დახურვას-კი ვერ ველირსეთ. საწყალი ხალხი შევიწროებულია ნივთიერად, ეკკლესიის შენობა უყურადღებოდ მიუგდია და ამდენი ხნის ნაშრომიც ეღუპება, რადგანაც ეკკლესიის კედლები თანდათან ფუჭდება თოვლისა და წვიმებისაგან.

— ამინდები. აქეთ ძლიერ ცუდი ამინდებია; შუა გიორგობისთვიდგან დაწყებული თოვლი აუღებლად სძევს მიწაზედ.

*** **ს. მეტეხი** (ქართლი). **უმეცრებისა და უექიმობის მსხვერპლი.** 3 იანვარს აქ ავად გახდა მუცლის ტკივილით ერთი დედაკაცი და მას აქეთ დღემდის მის ტანჯვას დასასრული არ ეძლევა. საბრალომ მკითხავ-მარჩიელებს მიანდო თავისი ავადმყოფობის ბედი და ამით განსაცდელი ერთი ათად გაიორკეცა; თურმე, მუცელი გასცუდებოდა და ვერა გაეგო-რა. შემდეგ მკვდარი ყმაწვილი მრუდეთ წამოსვლოდა და, რაკი აღარაფერი შველებია, ს. სასიკეთიდამ პ. ლეგუაშვილი მოეყვანათ და მას გაესწორებია ყმაწვილი. მაგრამ ამით საბრალოს მაინც არ შველებია და მხოლოდ თავი უშოვნია, ტანი კი მუცელში ჩარჩენია. ეს სამი კვირაა საცოდავი მელოგინე სიკვდილს ებრძვის და გონივრული შემწეობა კი არსაიდამ უჩნდება. მართალია, ჩვენი სოფლის ხალხი ნასწავლ ექიმს შორს გაურბის, მაგრამ თვითონ ნასწავლი ექიმიც კიდევ უფრო არ ეკარება მათ.

*** **ბათუმი. ქართველთა სავაჭრო ამხანაგობის დაარსების გამო.** ბათუმში განძრახვა აქვთ დააარსონ ქართველთა საამხანაგო სავაჭრო მაღაზია. ეს ამხანაგობა შესდგება რამოდენიმე წევრისაგან, რომელთა შორის უნდა შეგროვდეს 10,000 მანათი, საწევრო—ფული იქნება თითოდგან 25 მანეთი. რასაკვირველია ეს აზრი დიდათ სასიამოვნო და სასიხარულო უნდა იყოს ყოველ კეთილი კარგის მდომელი ქართველი კაცისათვის. აგრეთვე დიდი მადლობის ღირსია ის კაცი, რომელმაც ეს აზრი წარმოადგინა პირველად და მოიწადინა ამ ნაირი საამხანაგო მაღაზიის დაარსება ბათუმში. მაგრამ ეგ აზრი მაშინ იქნება სათაყვანო და სამადლობელო, როდესაც განხორციელდება და ჯეროვან ნიადაგზედ დადგება. მარტო ხომ ფულების შეგროვება არ კმარა? 10,000 მანეთის შეგროვება, რასაკვირველია 300—400 კაცისათვის, მთელის წლის გამავლობაში ძალიან საძნელო არ იქნება და როგორც იქნება ეგ ფულები შეგროვდება, მხოლოდ, მერმე გვმართებს რიგიან წეს-რიგზე მოწყობა საამხანაგო მაღაზიისა, მასზედ ზრუნვა და დაწინაურება ამისათვის პირველათ ჩვენ უნდა ავირჩიოთ ხუთი სანდო კაცი, ვაჭრობაში დახელოვნებულნი და სინიდისიერნი, რომელნიც შეადგენენ კამისიას. კომისია შეაგროვებს საწევრო ფულებს 1899 წლის დადგომამდის, რაშიაც ყოველი წევრი კამისიიდგან მიიღებს ჯეროვან ბარათს; მხოლოდ კომისიამ უნდა შეიტანოს ეს ფულები აღნიშნულ ვადამდის, სავაჭრო ამხანაგობის სახელზედ ბანკში, რაც, რასაკვირველია, ცოტა რასმე სარგებლობასაც მოიტანს. შემდეგ უნდა ავირჩიოთ სამი კაცი ჩვენს შორის რევიზორებათ საამხანაგო მაღაზიისა რომლებიც უზამენ კანტროლს როგორც კამისიას მოქმედებას, აგრეთვე მაღაზიის მწარმოებელს მოქმედებას. უმთავრესი ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, თუ როგორი [illegible] უნდა ვიშოვოთ მაღაზიის მწარმოებლად. რა თქმა უნდა, თავდაპირველად უნდა ვეძიოთ სინიდისი და პატიოსნება, რაც აუცილებელია ყოველ საქმეში და საამხანაგოში მით უფრო მაგრამ მარტო ეგ თვისებაც არ კმარა, გამგებლები პრაქტიკულად დახელოვნებული უნდა იყვნენ ვაჭრობაში და მასთან თეორიულადაც შემზადებულნი, რომლებმაც სავაჭრო ბუხგალტერიაც უნდა იცოდნენ რათა შეეძლოთ სავაჭრო საქმის ანგარიშების იმნაირათ დაწყება, რომ ყოველ წუთს შესაძლებელი იყოს კონტროლი, რევიზია სავაჭრო მაღაზიისა. უამისოთ საქმე მოუხერხებელი იქნება. ამნაირი კაცის შოვნა, ჩემის აზრით, ძლიერ გასაჭირი არ უნდა იყოს ბათუმში, რა თქმა უნდა შესაფერის სასყიდელით, წევრნი კომისიისა და რევიზორები ჯერ-ჯერობით უსასყიდლოდ უნდა ემსახურონ ამ საქმეს.

ყოველ წლის ბოლოს, რასაკვირველია ჩვენ ანგარიში გვექნება, თუ რა უსარგებლია ჩვენს მაღაზინს. რაც მოგება დარჩება, წევრების თანხმობით, უნდა გაიყოს ოთხ ნაწილად: ერთი ნაწილი უნდა მოხმარდეს საქველ-მოქმედო საქმეს. ე. ი. ეკკლესიის აშენებას, ან ქართულ სკოლებს და ქართველ ღარიბ სტუდენტებს; მეორე ნაწილი მოხმარდეს იმ წევრებთაგანთ, რომელთაც შემთხვევათ რაიმე უბედურება და უკიდურესი მდგომარეობა და ყველა დაინახავს, რომ შემწეობა მათთვის საჭიროა.—დანარჩენი ორი ნაწილი შევინახოთ ბანკში და რამოდენიმე წლის უკან ჩვენ გვექნება რამდენიმე ათასი მანეთი, რომლითაც შეიძლება გააკეთოს კაცმა უფრო დიდი და სასარგებლო საქმე.

ამისათვის ვისურვებ სულითა და გულით, რომ ამ ნაირი კეთილი განძრახვა და სურვილი სურვილად არ დარჩენილიყოს და ღირსებოდეს განხორციელება.

ნოე კახიანი

ოზურგეთი **გურიის ამხანაგობის «შუამავლის» კრების გამო.** უკვე მოეხსენებათ მკითხველთ „ცნობის ფურცლის“ განცხადებიდგან, რომ 13 თებერვალს დანიშნულია ქალ. ოზურგეთში წლიური კრება განსასახილველად წარსულ წლის ანგარიშისა. ამ კრებამ უნდა აირჩიოს 50 მდე წარმომადგენელები და მიანდოს საქმის გამორკვევა, რითაც ბოლო უნდა მოუღონ ათას-გვარ ეჭვებს და მითქმა-მოთქმას, რომელიც დღემდი ამხანაგობას თან სდევდა. შეიძლება ასეთი მითქმა-მოთქმა და ეჭვები არაფრის მომასწავებელი იყოს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, საქმეს მაინც ხელს შეუშლის და დააბრკოლებს. 13 თებერვლის კრება-კი ყველა ამ მითქმა-მოთქმას. (ვითომც ამხანაგობა იღუპება) მოუღებს ბოლოს და საქმეს სასურველ დონეზე დაამყარებს. სულ ყველა გაიგებს, მართალია თუ არა რაც დღემდი ამხანაგობაზე ამბობდნენ და მის „კეთილის მსურველთ“ ბოროტებათ მიაჩნდათ! იმედია, რომ ამ კრებას წევრები ბლომად დაესწრება და საქმეს გამოარკვევს; სამომავლისო გზას გაუკაფავს და საშვილიშვილო საქმეს ყველასთვის საპატივცემო სახელს მიანიჭებს.

წარსულ წლის კრებამ ვერ დაასვა ამხანაგობას [illegible] დიდი და საქმე ისევ ბუნდოვ[illegible] დარჩა, რომელსაც მომავალი კრება იმედია ნათელს მოჰფენს და [illegible]მეს ყველასათვის სასიამოვნოთ დააგვირგვინებს აწმყო ამხანაგობის ბედ-იღბალს.

ვუსურვებ ამხანაგობის მომავალ კრებას დაემყარებიოს ერთი მეორეში ძმობა და მეგობრობა და ის დიადი საქმე, რაზედაც იქნებიან გურულები თავშეყრილი ცამეტ თებერვალს ქ. ოზურგეთში ყველა ამხანაგობის გულშემატკივართათვის სასიამოვნოთ დაეგვირგვინებიოთ.

მარგარიტა

*** **ს. წევა.** (იმერეთი). **ფილოქსერის შედეგი.** დღეს სოფელ წევის მცხოვრებნი ორ რიგად არიან გაყოფილნი; ერთი რიგი ვაჭარია, მეორე-კი მიწის მუშა. პირველი ფულით არის ღონიერი და მიწის მუშაობას არაფრად გასდევს, მეორე კი ე. ი. მუშა ხალხი მიწას შესჩერებია, მას ალვრის ოფლს და მისგან ელის სასრდოს. აი, სწორედ ამ უკანასკნელ ხალხს შორის ბევრნი მოიპოვება დღეს ისეთნი, რომ ლუკმა პურის შოვნა უჭირთ. აქამომდე მათთვის ერთად ერთი საზრდო ღვინო იყო-იშვიაიად ნახავდით ისეთ გლეხს, რომ ოცი ოც-და-ათი თუმნის ღვინო არ გაეყიდნა. მათი ავი და კარგი ღვინო იყო. ახლა კი ისინი უკიდურეს მდგომარეობაში არიან ჩავარდნილი. მათ ეს საზრდოც ხელიდან გამოეცალა. ფილოქსერამ ისე მოსპო ვენახები, რომ გლეხებს აღარავითარი გამობრუნების იმედი აღარ აქვსთ.

— **კასის დაარსება.** აი სწორედ ამ გაჭივრებული გლეხების ხელის გასამართავად და დასახმარებლად აქ რამოდენიმე პირებმა განიზრახეს კასის დაარსება. კასას, მხოლოდ გაჭირვებული გლეხების სახელი ერქმევა; მათთვის არსდება და მხოლოდ მათ ექნება ნება იქიდან ფულის გამოტანისა და სარგებლობისა, სულ მცირე პრაცენტით. იმედია ამ კეთილ განზრახვას მალე დასასრული ექნება. რადგან კასისათვის ფული უკვე მზად არის. ჯერ-ჯერობით წევრებს კასისათვის ათასი მანეთი აქვსთ; ეს ფული დღეს იმათ ხაზინიდან უნდა გამოიტანონ.

— **წყალი კასისათვის.** სოფელი წევა მდება ჰეობს რკინის გზის მახლობლად. ამ სოფლის მცხოვრებლების საერთია ადგილების ბოლოში წყალ დიდობის დროს წყალმა ისე გააფუჭა რკინის გზის ლიანდაგი, რომ მას უსათუოდ ზევით უნდა შემოეწია და ამ საერთია ადგილზე უნდა გადასულიყო გზა. და კიდეც გადიყვანა სწორედ იმ ადგილზედ, სადაც ახალ მადანი „წითელი ქვა“ ითხრებოდა. მცხოვრებლებმა ამაზედ სადაც ჯერ იყო ქაღალდი შეიტანეს, რომ იმ ადგილებში სასყიდელი მიეცათ. მთავრობამ შეიწყნარა მათი თხოვნა და მიანიჭა მათ ღირებული ფასი ათას მანეთამდე. ამ ფულში თითქმის მთელ სოფელს აქვს ნაწილი, რომელიც ოთხას კომლამდე მეტია. ეს ფულები, რომ ამ გლეხების რიცხვზედ დანაწილებულიყო თითო მათგანს ბევრი არაფერი ერგებოდა. ამისათვის ზოგიერთ პირებმა მოიწადინეს ერთი კეთილი საქმე მაინც დაედგინ[illegible] ამ საერთო ფულებით. ბევრი დიდის სიხარულით მიეგება ამ კეთილ საქმეს. ვაჭრებიც დიდ ნუგეშს იძლევიან და იმედია, ისინიც დაეხმარებიან ამ კეთილ საქმეს; როგორც შევიტყვეთ ამ ვაჭრებიდგანაც კი ბლომა ფული გროვდება ზემოდ აღნიშნული კასისათვის, ასე რომ ამ წითელ ქვის ფული და ვაჭრებისაგან შეკრებილი ფული საქმე დასაწყის მისცემს.

ელეფთერი

*** **გორი. მკვლელობა.** ამ დღეებში გლეხს სიმონ ფილიშვილსა და თ. ციციშვილს ტყის დარაჯს ვანო ფალიშვილს ჩხუბი მოუვიდათ ერთმანეთ შორის და ამ ჩხუბის დროს უკანასკნელმა ხანჯალი ჩასცა მუცელში პირველს, რომელიც იქვე გარდაიცვალა. მოკლული ცოლიანი იყო, მაგრამ უშვილო; სოფელში იგი ყველას უყვარდა. მკვლელი შეიპყრეს.

ყურ-მოკრული საუბრები

— კარგ ღვინოსთან ყველაფერი მავიწყდებაო, კუზნზბოდა ერთი მეგობარი მეორეს.

— ძალიან დაგიშავებიაო, მიუგო მეორემ, ღვინის სმის დროს და მეტადრე კარგი ღვინის სმის დროს არაფერი არ უნდა დაგვავიწყდეს, რადგან კარგ ღვინოს კარგი ფასი აქვს და გადახდაც ხომ საჭიროა!

სადღეისოდ

კ. მესხის ბენეფისი. დღეს ქართულს თეატრში დანიშნულია ჩვენის ნიჭიერის არტისტის კონსტანტინე სვიმონის ძე მესხის ბენეფისი. პატივცემული არტისტი თავისს საბენეფისოდ სდგამს თავისვე ახალს პიესას, გადმოკეთებულს რუსულიდან 5 მოქმედ. დრამას „კაზაიანს“. პიესის შინაარსი მეტად საინტერესოა, თურმე, და შეეხება ამ დროინდელ ცხოვრებას. მთავარ როლს პიესისას არტ. კაზაიანს თამაშობს თვით მობენეფისე. დანარჩენი როლები განაწილებულია ჩვენი სცენის საუკეთესო არტისტებთა შორის ეფ. მესხი, ჩერქეზიშვილისა, ვ. აბაშიძე და სხვანი.

კოტე მესხი აგერ ოც წელიწადზე მეტი იქნება, რაც ქართულ თეატრს ემსახურება, ვითარცა მსახიობი. რეჟისორი და მწერალი. იმ თავითვე დღევანდლამდე კ. მესხი ითვლებოდა როგორც ფრიად ნიჭიერი და განსაკუთრებით ჭკვიანი არტისტი, მხნე რეჟისორი და ნაყოფიერი მწერალი პიესებისა. ქართულს რეპერტუარში ბევრი პიესებია კ. მესხის მიერ ნათარგმნი, თუ გადმოკეთებული. საკმარისია დავასახელოთ «თამარ-ბატონიშვილი», რომელმაც დიდი სამსახური გაუწია ქართულს თეატრს, რომ ადვილად წარმოვიდგინოთ, თუ რა ძალა და ღონეს შეადგენდა კ. მესხი ქართული თეატრისათვის. მისი «რუსთაველი», «ლანგ-თემური» და სხვა ეხლაც საუკეთესო პიესად ითვლებიან ქართულს რეპერტუარში. როგორც, მსახიობი კ. მესხი დიახაც შესანიშნავია. მის ნიჭსა და დაკვირვებულ გონებას ერთნაირის სიადვილით ემარჯვება კომიკური, თუ დრამატიული როლები. [illegible] უმთავრესი ღირსება კ. მესხის ნ[illegible] ხელოვნებისა მასში მდგომარეობს, რომ იგი ყოველს როლში და ყოველთვის უცილობლად ახდენს შთაბეჭდილებას ჭკვიანის, დაკვირვებულის, გონება გახსნილ-განათლებულ არტისტისას. ეგ თვისება ისე იშვიათია საზოგადოდ ყველგან და კერძოდ ჩვენს სცენაზე, რომ კ. მესხს დიდ უპირატესობას აძლევს დანარჩენ ჩვენს მსახიობებთან...

როგორც რეჟისორმა და თეატრის საქმის მცოდნემ კ. მესხმა უკვე დაამტკიცა თავისი უნარი ქუთაისში, სადაც მიუხედავად ათასი დაბრკოლებისა, გამართა სამუდამო დასი, რომელიც ათიოდე წლის განმავლობაში მართავდა ქართულს წარმოდგენებს, რითაც ქუთაისის საზოგადოება შეაჩვია სერიოზულ წარმოდგენებს. წელსაც კ. მესხმა, ვითარცა რეჟისორმა ბევრი ცოდნა, უნარი და ფხა გამოიჩინა. წრევანდელი სეზონი განსაკუთრებულ მდგომარეობაში იყო, დასში არ იყო ელ. ჩერქეზიშვილის მეტი არც ერთი არტისტი ქალი, დანარჩენები გამოუცდელები და ახალგაზდები იყვნენ. კ. მესხი მიუხედავად ამ გარემოებათა მაინც პირნათლად გამოვიდა საზოგადოების წინაშე, შესძლო მრავალი ახალი პიესების დადგმა ეფ. მესხის მონაწილეობით და ახალგაზდა არტისტი ქალები გაწრთვნა და გაავარჯიშა.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ქართველი საზოგადოება, როგორც ყოველთვის, პატივს სცემს თავის ერთგულ მუშაკს დღევანდელ წარმოდგენაზე დასწრებით.

W.

ლიტერატურული ახალი ამბები

◆ **პროფესორის თარხნიშვილის წიგნი.** პეტერბურგში არსებულის „საექიმო და ჰიგიენური ბიბლიოთეკის“ მეხუთე ნუმრად დაბეჭდილია პროფესორის ივანე რამაზის ძის თარხნიშვილის წიგნი: „გაციება. როგორ გაცივდება ადამიანი; რა ცვლილებანი მოსდევენ ადამიანის სხეულში გაციებას; რა სნეულებას ჰბადავს გაციება და როგორ დავიფაროთ მისგან ჩვენი თავი“. წიგნი ოთხ აბაზად ღირს.

◆ **სიტყვა-კაზმული მწერლობის სახელმძღვანელო.** ერთს ჩვენს მწერლობაში კარგად ცნობილს და დამსახურებულს მოღვაწეს შეუდგენია „სიტყვა-კაზმული მწერლობის სახელმძღვანელო“ და ამ ცოტა ხანში შეუდგება ბეჭდვას.

◆ **აკაკის კრებული.** აკაკის კრებულის მომავალ წიგნში დაბეჭდილი იქნება ვრცელი გარჩევა იმ საბუთებისა, რომლითაც პროფესორი მარრი ვითომ-და მეცნიერულად არღვევდა აკაკის საყვედურს სომხებისადმი. ვითომ-და მეცნიერულადაო, იმიტომა ვთქვით, რომ პრ. მარრი სწორედ პროფესორულად, ესე იგი რომის პაპივით შეუცდომლად ბძანებს, ერთ დროს დიდი გავლენა ჰქონდა სომხურ კულტურას ქართველებზედ და არამც თუ სხვა-დასხვა სიტყვები, მგონი, თვით ანბანიც სომხებმა უწყალობეს ქართველებსაო. პროფესორულად ბრძანებს და ერთ წამსაც არ მოსდის ფიქრად,

რომ ეს მარტო სომხითის მეისტორიეთა აზრია და ჯერ მეცნიერულად დამტკიცებული არ არის. პირიქით უკანასკნელი გამოკვლევანი ცხადად ამტკიცებენ, რომ სომხები ნელა შერეულან ქართველებში, რომელთაც მაშინდელ დროის-და გვარად საკუთარი და ამასთან ძლიერი კულტურაცა ჰქონიათ. ნელ-ნელა შერევიან ქართველებს სომხები და სწორედ ისე, როგორც დღეს ახალციხის მაზრაში მოხდა, დაჰპატრონებიან ქართველების ქალაქებს, ძვირფასს ისტორიულ ნაშთებს და ყველა იმ საგნების სახელებს, ესე იგი სიტყვებს, რომლებიც თითონ არა ჰქონიათ და ქართველებში უნახავთ პირველად.

მახლას!

* * *

სამეცნიერო ცნობა

ჭინჭველების სტუმრისადმი სიძულვილი. ჭიანჭველები გაჭირვებაში მყოფს ამხანაგებს ყურადღებას არაოდეს არ აქცევენ, მაგრამ თუ გაჭირვებაში უცხო ჭიანჭველა ნახეს, მაშინვე განთავისუფლებენ და შემდეგ მოჰკლავენ. აი რას ამბობს ამის შესახებ ლებოკი: „2 სექტემბერს ერთი ბუდიდგან ავიღე ორი ჭიანჭველა, ჩავსხი ბოთლში, გადავაკარი ზევიდგან მიტკალი და დავდე ბუდის პირთან. მეორე ბოთლში ჩავსხი ორი ჭიანჭველა სხვა ბუდიდგან, გადავაკარი მიტკალი და დავდე ზემოხსენებული ჭიანჭველების ბუდესთან. გარეშე მყოფმა ჭიანჭველებმა ყურადღება არ მიაქციეს ბოთლში მსხდარ ამხანაგებს, მაგრამ მეორე ბოთლში მსხდარმა ჭიანჭველებმა ძრიელ მიიტაცეს მათი ყურადღება. ყოველ დღე რამდენიმე ჭიანჭველა ჰყარაულობდა ამ ბოთლსა. 9 ში ჭიანჭველებმა გამოხრეს მიტკალი და ბოთლში ჩაძვრნენ. მე იმ ჟამად იქ არ ვიყავი, მაგრამ რადგანაც ორთავ ჭიანჭველა მკვდარი დამხვდა, ერთი შიგ ბოთლში, მეორე ბოთლის გვერდზე—ჰგავს გარეშეა, რომ მათ უცხო ჭიანჭველები დახოცეს და ამხანაგებს კი ყურადღება არ მიაქციეს. 21 სექტემბერს კიდევ ვცადე და ჩავსხი ბოთლში სამი ჭიანჭველა სხვა ბუდიდგან და ისევე შევნიშნე: ამხანაგებს ყურადღებას არ აქცევდნენ, იმ ბოთლს კი, რომელშიაც უცხო ჭიანჭველები ისხდნენ, ყოველ დღე რამდენიმე ჭიანჭველა ჰყარაულობდა და ჰღრღნიდა მიტკალს. მეორე დღეს 6 საათზე ამ საქმეზე ხუთ ჭიანჭველას მოვასწარი. ერთს უცხო ჭიანჭველას, რომელსაც გაუფრთხილებლად მიტკალში ფეხი გამოეყო, ფეხით დაეჭირა და აღარ უშვებდა. ჭიანჭველებმა მუშაობა და ყარაულობა საღამოს 7½ განაგრძეს. შემდეგ ჩაძვრნენ ბოთლში, დაეცნენ უცხო ჭიანჭველებს და იქვე დახოცეს. სასჯელის შესრულების შემდეგ კმაყოფილად ბუდეში დაბრუნდნენ.

ბ. ეფემიაშვილი

განცხადებანი

ექიმი
უ. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფს იღებს ყოველ დღე
დილის 11—12 საათამდე და
საღამოს 6—7 მდე.
მიხეილის ქუჩა, № 16.

Открыта под[illegible]
на изданіе подъ [illegible]
„ИСТОРІЯ РОССІИ“,

имѣющее выйти въ 24-томахъ, изъ коихъ в[illegible] 12-ти войдетъ полностью (безъ примѣчаній) «Исторія Госу[illegible]» Н. М. Карамзина, остальные же 12 томовъ будутъ слу[illegible] продолженіемъ.

Появленіе новаго, предпринятаго нами [illegible] «Исторіи Государства Россійскаго» Карамзина не нуждается, [illegible]нію, въ какомъ либо оправданіи Достоинства, которыми отличается это [illegible]мѣчательное сочиненіе, говорятъ сами за себя, а громкая, вполнѣ заслуженная имъ извѣстность даетъ ему право на самое широкое распространеніе.

Другое дѣло—вторая половина нашего изданія, имѣющая цѣлью изложеніе дальнѣйшихъ событій русской исторіи почти до нашихъ дней и потому представляющая собою какъ бы продолженіе названнаго труда Карамзина. Считаемъ необходимымъ, однако, оговориться, что, разумѣется, связь между этими двумя частями нашего изданія можетъ быть только внѣшняя, такъ какъ для продолженія, въ буквальномъ смыслѣ, сочиненія знаменитаго историка надо быть вторымъ Карамзинымъ. Предлагая же публикѣ два названныхъ труда, какъ нѣчто цѣлое, мы руководились слѣдующими соображеніями. Какъ извѣстно, Карамзинъ не окончилъ, къ сожалѣнію, своей «Исторіи Государства Россійскаго“—доведенная имъ до послѣднихъ лѣтъ смутнаго времени на руси, она обрывается, такъ сказать, на полусловѣ. Такимъ образомъ, наиболѣе интересный періодъ русской исторіи, именно XVII, XVIII и XIX столѣтія, остался малоизвѣстнымъ большинству читающей публикѣ, и общаго, подобно Карамзинскому, труда, который содержалъ бы популярное изложеніе событій этихъ трехъ вѣковъ, въ русской литературѣ донынѣ не имѣется, если не считать таковыми школьные учебники и университетскіе курсы исторіи, преслѣдующіе свои спеціальныя задачи. Что касается сочиненій извѣстныхъ позднѣйшихъ историковъ (напр., Соловьева, Костомарова и друг.), въ которыхъ изложена значительная часть указанныхъ событій, то они, при всѣхъ своихъ несомнѣнныхъ достоинствахъ, представляется, однако, малодоступными читающей массѣ—одни по своему ученому изложенію, другіе по своей высокой цѣнѣ и т. п. Наконецъ, историческія монографіи, а также историческіе романы и повѣсти нельзя даже принимать во вниманіе, какъ совершенно непригодные для вышеупомянутой цѣли.

Между тѣмъ потребность въ знаніи нашего историческаго за послѣдніе вѣка развитія все болѣе и болѣе усиливается, и потому распространеніе такого знанія путемъ популярнаго изложенія этого развитія слѣдуетъ признать весьма желательнымъ

Идя на встрѣчу этой потребности, мы и намѣрены дать въ послѣднихъ 12-ти томахъ нашего изданія обстоятельный обзоръ всѣхъ событій, имѣвшихъ мѣсто въ жизни Россіи въ періодъ отъ смутнаго времени до восшествія на престолъ Императора Александра III, въ ясномъ общепонятномъ изложеніи, основанномъ на обширной цѣнной литературѣ, которою располагаетъ нынѣ русская исторіографія. При этомъ мы сдѣлали наше изданіе общедоступнымъ и по его крайне невысокой цѣнѣ. Каждый томъ будетъ заключать въ себѣ 15 печ. лист., формата in 8°, всѣ же 24 тома составятъ до 400 печ. лист. или болѣе 6,000 страницъ.

Подписная цѣна: безъ доставки **4 р. 50 к.**, съ доставкою и пересылкою **6 р.**—Допускается разсрочка: при подпискѣ—**2** р.—по полученіи 6-го тома—**2** р. и по полученіи 12-го тома **2** р.—По выходѣ 8-го тома подписная цѣна будетъ повышена.

Вышли изъ печати первые 4 тома и высылаются подписчикамъ немедленно; слѣдующіе печатаются и будутъ разсылаться по мѣрѣ выхода.

Пріемъ подписки производится въ конторѣ изданія (С.-Петербургъ, Литейный проспектъ, д. 33, кв. 13) ежедневно отъ 10 до 4 час. дня.

(12—8) **Издатель В. Максимовъ.**

Открыта подписка на 1898 годъ
(второй годъ изданія)
на еженедѣльный иллюстрированный журналъ
„ТЕАТРЪ и ИСКУССТВО“

Въ 1897 году помѣщены были въ журналѣ произведенія слѣдующихъ лицъ: Авсѣенко В. Г., Александрова Н. А., Амфитеатрова А. В., Арбенина Н. Ф.. Бастунова Э. Д., Бентовина Б. И., Генкепа В. Г., Гнѣдича П. П., Далматова В. П., Дѣянова А. И., Карнѣева М. В., Карпова Е. П., Кнорозовскаго И. М., Кояловича М. М., Кравченко Н. И., Кугеля А. Р., Ленскаго Ал. П., Немировича-Данченко Вл. И., Плещеева А. А., Потапенко И. Н., Преображенскаго В. П., проф. Сакетти Л. А., Тихонова В. А., Федорова М. П., Фруга С. Г., Южнаго М. Г., Ясинскаго І. І. и др.

Кромѣ названныхъ лицъ обѣщано сотрудничество:
Вейнберга П. И., Голицына кн. Д. П. (Муравлина), Немировича-Данченко Вас. И., Сафонова С. А., проф. Соловьева Н. Ф. и нѣк. др.

Статьи по общественнымъ вопросамъ и теоріи искусствъ, театра и литературы. Фельетоны, Критическіе этюды. Беллетристика. Обширныя корреспонденціи.

Свыше 500 иллюстрацій, портретовъ, нотныя приложенія и т. п.
За годъ изящный томъ на хорошей бумагѣ
Свыше 1000 страницъ и сверхъ того
не менѣе 15 пьесъ, отдѣльными приложеніями, стоющихъ 20—25 р.

Въ 1897 г. даны, между прочимъ слѣдующія пьесы, имѣвшія шумный успѣхъ: „Трильби“, „Катастрофа“, „Наканунѣ“, „Водоворотъ“, „Влюбленная“, „Вѣра Иртеньева“, „Трудовой день“, «Волшебная сказка» и другіе.

Изданіе особенно рекомендуетъ любительскимъ кружкамъ, библіотекамъ, общественнымъ собраніямъ, клубамъ и кабинетамъ для чтенія.

Подписная цѣна за годъ съ доставкою 6 р.
„ „ „ полгода „ 4 р.
Допускается разсрочка при подпискѣ 2 р. и по 2 р. 1-го Марта и 1-го Іюня.
Адресъ редакціи и конторы: *С.-Петербургъ, Моховая, 45.*
Редакторъ А. Р. Кугель. Издательница З. В. Тимоѳеева (Холмская).
(8—8)

ახლად გამოვიდა და ისყიდება საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში
ამხანაგობა „გლეხის“ გამოცემანი

გერმანელები
ფასი 30 კაპ.
იტალიელები
ფასი 30 კაპ.
ინგლისელები
ფასი 40 კაპ.
თითოეულს წიგნში ხუთ-ექვს სურათამდეა მოთავსებული.
(10—3)

ОТКРЫТА ПОДПИСКА
на ежедневную
политическую и литературную газету
„НАРОДЪ“
на 1898 годъ
(второй годъ изданія).

ДЕСЯТЬ РУБЛЕЙ

Подписная цѣна газеты понижена до **ДЕСЯТИ** рублей въ годъ съ пересылкою и доставкою повсемѣстно въ Россіи.

Посвящая свое изданіе, главнымъ образомъ, разработкѣ текущихъ вопросовъ государственной, общественной и хозяйственной жизни русскаго народа, редакція надѣется, что значительное пониженіе цѣны газеты будетъ способствовать доступу ея въ болѣе обширный кругъ читателей и поведетъ, слѣдовательно, къ болѣе широкому обмѣну мыслей между людьми слова и дѣла и ихъ единенію на пользу общую.

Подписная плата:

	На 12 м.	6 мѣс.	3 мѣс.
Въ Россіи, повсемѣстно, съ пересылкою и доставкою	**10** р.	**5** р.	**2** р. **50** к.
За границею, въ государствахъ почтоваго союза . .	**14** «	**7** ›	**3** › **50** ›

Подписка принимается:
Въ С.-Петербургѣ: въ Главной Конторѣ газеты, Б. Морская, 36.
Въ Москвѣ: въ конторѣ биржеваго маклера И. Ю. Щульца (старый гостиный дворъ).

Гг. провинціальные подписчики благоволятъ обращатся въ Главную Контору газеты въ С.-Петербургѣ.

NB. Гг. годовые подписчики получатъ отдѣльнымъ изданіемъ всѣ вышедшія въ русскомъ переводѣ и напечатанныя въ газетѣ «Народъ», до 1-го января 1898 года, главы романа Эмиля Золя «Парижъ».

ДЕСЯТЬ РУБЛЕЙ

Редакторъ Н. Я. Стечькинъ. Издатель А. П. Мальшинскій.
(10—10)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 6-го Февраля, 1898 г. სტამბა ქქ. ი. ხელაძის, ლორის-მელიქოვის ქ. № 28 რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია